726 ა/ 8413

ქართლ-კახეთი,
იმერეთი,
გურია და სამეგ-
რელო —
ველა ჩემი
სამშობლოა,
საუკარელი
საქართველო!

დუტუ მეგრელი

საბჭო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის № 19 (299) გამოცემის მე-16 წელი

საქართველოს საზოგადოების გამოცემა ● 1972 წლის 18 ოქტომბერი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

29 სექტემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დააკმაყოფილა ამხანაგ **ვასილ პავლეს ძე მჟავანაძის** თხოვნა ასაკის გამო პენსიაზე გასვლის შესახებ და ამასთან დაკავშირებით გაათავისუფლა იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხანაგი **ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე**, რომელიც მანამდე პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა.



გარაჭა შენს შრომას, ქართველო კაცო!



გალაკტიონ ტაბიძე

სამშობლოს

სამშობლოს წინსვლა გასაკვირველი,
მზის მხურვალება გარს რომ ავლია, —
აი, პირველი! აი, პირველი!
რის სიყვარულიც მე მისწავლია.
შენს გაშარჯვებას, ჩანგო, მოველი!
ოჰ, შენთან დღენი ჩემნი წარვლიან,
მედგარი ბრძოლა! — აი, ყოველი,
რის სიყვარულიც მე მისწავლია.
გავშლი ძვირფასი ლექსების კონებს:
რა სიუხვეა! რა სიმრავლეა!
გადამასწავლოს, ნურავინ მგონებს,
რის სიყვარულიც შე მისწავლია.

ფუნჯისა და საჭრელთის ოსტატთა VIII ყრილობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში ორ დღეს მუშაობდა საქართველოს მხატვართა VIII ყრილობა.

ყრილობა გახსნა საქართველოს მხატვართა კავშირის პირველმა მდივანმა, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარმა უჩა ჯაფარიძემ.

საქმიანი პრეზიდიუმის შემადგენლობაში იყვნენ **მიხეილ გოგიჩაიშვილი, ედუარდ შევარდნაძე, ალბერტ ჩურკინი, გიორგი ძოწენიძე, გივი ჯავახიშვილი, ჯუმბერ პატიაშვილი,** საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი **პავლე გილაშვილი,** საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, რუსეთის სფსრ სახალხო მხატვარი **ნიკოლოზ პონომარიოვი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვიქტორია სირაძე,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე **გიორგი ბედნელიშვილი,** საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი **სერგო რიგვავა,** საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი **ლადო გუდიაშვილი,** საქართველოს სახალხო მხატვრები **ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღლაშვილი, კონსტანტინე მერაბიშვილი, შალვა მიქატაძე,** საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **შალვა ამირანაშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრები **ოთარ თაქთაქიშვილი, გიორგი ჭიბლაძე,** ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები, საქართველოს შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლები, მოსკოვიდან და მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები.

შეკრებილთა ტაშის გრიალში ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მიხეილ გოგიჩაიშვილმა წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება რესპუბლიკის მხატვართა VIII ყრილობისადმი.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა უჩა ჯაფარიძემ.

საანგარიშო მოხსენებისა და თანამოხსენებების შემდეგ გაიმართა კამათი.

ყრილობაზე ფარული კენჭისყრით აირჩიეს საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მხატვართა მეოთხე სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატები.

• • •

გაიმართა საქართველოს მხატვართა VIII ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელმაც აირჩია მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმში 19 კაცის შემადგენლობით.

პლენუმმა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩია სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი **უჩა ჯაფარიძე.**

პოეზიის დღესასწაული

ქართველმა კაცმა კარგად იცის მეგობრობისა და პოეზიის ფასი, ამიტომ არის, რომ ჩვენში ყოველ ოქტომბერს დიდი ზეიმით აღინიშნება რუსთაველის ტრადიციული დღეები.

წლევანდელი ზეიმი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. მასში მონაწილეობდნენ ჩვენი სამშობლოს ყველა ერის, ეროვნების, ყველა კუთხის წარმომადგენლები.

საბჭოთა პოეზიის ზეიმი ჩვენი ხალხების ძმობისა და სულიერი თანამეგობრობის კიდევ ერთი ნათელი დღესასწაული იყო.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე

რატიფიცირებულ იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ, რომელსაც მოსკოვში მოაწერეს ხელი 1972 წლის 26 მაისს და მოიწონეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. პოდგორნი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. **1972 წ. 29 სექტემბერი.**

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. პ. მჟავანაძის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი **ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე** დაჯილდოვდეს **ოქტომბრის რევოლუციის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. **1972 წლის 22 სექტემბერი.**

სსრ კავშირის 50 წლისთავს ეძღვნება

გულითადი მასპინძლობა

ხალხთა მეგობრობის დემონსტრაციად იქცა მოძმე ხალხების წარმომადგენელთა შეხვედრები. ისინი თბილისში ჩამოდიან მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქთა დღეებში მონაწილეობისათვის.

საქართველოს მშრომელებს უკვე ეწვივნენ ალმა-ათის, აშხაბადის, ბაქოს, დუშანბეს, ერევნის, კიშინიოვის, ფრუნზეს, ტაშკენტის წარმომადგენლები. ეხლა თბილისელები სტუმართმოყვარულად ეგებებიან უკრაინის, ბელორუსიის, ლატვიისა და ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დედაქალაქთა დელეგაციებს.

გულთბილი მასპინძლობა გაუწიეს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელებმა კიევისა და ვილნიუსის წარმომადგენლებს, რომლებიც სექტემბერში ჩამოვიდნენ საქართველოში.

უკრაინელი სტუმრები იყვნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, დაათვალიერეს უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო ლაბორატორიები და სასწავლო მეურნეობა, აუდიტორიები, გაეცნენ ინსტიტუტის სასწავლო პროცესსა და მასწავლებელთა და სტუდენტთა მეცნიერულ კვლევებს.

ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლები ეწვივნენ თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კოლექტივს.

მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქთა დელეგაციები იყვნენ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის საწარმოებსა და დაწესებულებებში, გაეცნენ რაიონის მშრომელთა მიღწევებს, ლექციები წაიკითხეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის, მართვის სისტემების, ხელნაწერებისა და მეტალურგიის ინსტიტუტებში.

რესპუბლიკის ტელესტუდიაში სტუმრებს უჩვენეს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოფილმები. შემდეგ გააცნეს საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

ფილიპინების პარლამენტარები საქართველოში

ფილიპინების რესპუბლიკის პარლამენტართა ჯგუფის ხელმძღვანელს, ამ ქვეყნის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერს კორნელიო ვილარეალს საქართველოში მოგზაურობა ძალზე სასარგებლოდ მიაჩნია, რათა წარმოდგენა შეექმნას საბჭოთა ადამიანების ცხოვრებასა და შრომაზე. ფილიპინელი პარლამენტარები რამდენიმე დღეს ეცნობოდნენ რესპუბლიკის ეკონომიკასა და კულტურას. ეწვივნენ მთელ რიგ საწარმოებს, ჩაის სახლს, ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობას, დაათვალიერეს. რესპუბლიკის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ 3 ოქტომბერს დარბაზობა გაუმართა სტუმრებს. დარბაზობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი აბაშიძემ და კორნელიო ვილარეალმა მეგობრული სიტყვები წარმოთქვეს.

— მოხარული და მადლობელი ვართ, — განაცხადა კორნელიო ვილარეალმა, რომ შესაძლებლობა გვქონდა ვწვეოდით საბჭოთა კავშირს, კერძოდ მის ერთ-ერთ რესპუბლიკას — აყვავებულ საქართველოს. ფილიპინები მუდამ დიდ ინტერესს იჩენდნენ თქვენი მიწა-წყლისა და ხალხისადმი. აქ ჩამოვედით იმ დიდი იმედით, რომ ჩვენი მეცადინეობა და ცხოვრებაზე ახალი შეხედულება სიკეთეს მოუტანს ჩვენს ხალხებს.

იმედი გვაქვს, რომ თქვენი გამოცდილება და მაგალითი ბევრ სასარგებლოს შეგვეძენს.

გელგიელი სტუმარი საქართველოში

საქართველოში სტუმრად იყო ბელგიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბელგიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს ყოველკვირეულ გაზეთ „დრაპო რუჟის“ მთავარი რედაქტორი როზინა ლევინი.

ლევინი ესაუბრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ზინაიდა კვაჭაძეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს დამიანე გოგოხიას, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ირაკლი აბაშიძეს.

სტუმარი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და რუსთაველის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში. საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში გაიმართა შეხვედრა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან.

— ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბინაო მშენებლობის გაჭანებამ, მრეწველობის სხვადასხვა დარგის ზრდამ, საქართველოს მშრომელთა თავისუფალი დროის პრობლემის გადაჭრამ, — თქვა ლევინმა, — თქვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა დარგში, რომელსაც მე გავეცანი, იგრძნობა დიდი პროგრესი იმასთან შედარებით, რაც შვიდი წლის წინათ ვნახე საქართველოში.

ქვაქარლის მეორე „ზღვა“

ქალაქ ყვარლის დასავლეთით, მდინარე დურუჯის ხეობაში, ორიოდე წელიწადია ხმაურობენ ბულდოზერები და ექსკავატორები, გუგუნებენ ავტომანქანები, მიწას ეჭიდებიან გამრჯე ადამიანები. მათ აღმართეს 15 მეტრიანი სიმაღლის კაშხალი, რითაც დააოკეს შმაგი მდინარე დურუჯი და დააგუბეს დურუჯის წყალსაცავი — ყვარლის მეორე „ზღვა“, რომელიც უკვე 300-მდე ჰექტარ ფართობს აწვდის მაცოცხლებელ წყალს. ეხლახან მიმართულება შეეცვალა „კუს წყაროს“, ეს პატარა მდინარეც წყალსაცავში მიუშვეს. აქ შეიქმნება წყლის დიდი მარაგი, რომელიც შემდეგში 2 ათასამდე ჰექტარ ფართობს მორწყავს. ამავე წყალსაცავში ეწყობა სათევზე მეურნეობა.

რკინა-ბეტონის გამოყენების აქტუალური საკითხები

სექტემბრის ბოლო რიცხვებში თბილისში მიმდინარეობდა წინასწარ დაძაბული რკინა-ბეტონის სპეციალისტთა საერთაშორისო ფედერაციის ორი სიმპოზიუმი. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, იაპონიისა და სხვა ქვეყნის მეცნიერებმა და სპეციალისტებმა მოიყარეს თავი, რათა განეხილათ წყალქვეშა და მცურავ ნაგებობებში წინასწარ დაძაბული რკინა-ბეტონის გამოყენების, აგრეთვე ამ პროგრესული საშენი მასალისაგან დამზადებული კონსტრუქციების სეისმომედეგობის აქტუალური საკითხები.

სიმპოზიუმები შესავალი სიტყვით გახსნა წინასწარ დაძაბული რკინა-ბეტონის სპეციალისტთა საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის პრეზიდენტმა დოქტორმა გერარდ იანსონიუსმა (ნიდერლანდი).

სიმპოზიუმების მონაწილეებს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტისა და წინასწარ დაძაბული რკინა-ბეტონის სპეციალისტთა საერთაშორისო ფედერაციის თბილისის სიმპოზიუმების მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის სახელით მიესალმა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სიმპოზიუმების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ივანე განიჩევი.

ქართველი ხალხისა და საქართველოს სსრ მთავრობის სახელით მეცნიერთა საერთაშორისო ფორუმის მონაწილეებს მიესალმა და ნაყოფიერი მუშაობა უსურვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ არჩილ ლაბახუამ.

სიმპოზიუმებზე განხილული საკითხები დიდ ინტერესს წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებისათვის, დამპროექტებლებისა და მშენებლებისათვის.

წინასწარ დაძაბული რკინა-ბეტონის სპეციალისტთა საერთაშორისო ფედერაციის პირველი ფორუმის საბჭოთა კავშირში მოწყობის ადგილის შერჩევაში გარკვეული როლი შეასრულა ჭართველ მეცნიერთა და სპეციალისტთა წვლილმა, რაც მათ შეაქვთ ბეტონებისა და რკინა-ბეტონის მიღების, მათ საფუძველზე სეისმომედეგი, წინასწარ დაძაბული სამშენებლო კონსტრუქციების დამზადების წესებისა და მეთოდების დამუშავებაში.

წყალქვეშა და მცურავ ნაგებობებში რკინა-ბეტონის გამოყენების პირველი სიმპოზიუმის სხდომა გაიმართა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის, სეისმომედეგობის თეორიისა და საინჟინრო სეისმოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელის შიო ნაფეტვარიძის თავმჯდომარეობით.

გენერალური მოხსენება „რკინა-ბეტონის გამოყენება წყალქვეშა და წყალზედა საზღვაო ნაგებობებში“ გააკეთა ფროუდ ჰანსენმა (ინგლისი).

მეორე სიმპოზიუმის სხდომას თავმჯდომარეობდა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მოსკოვის რკინა-ბეტონის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წინასწარ დაძაბული რკინა-ბეტონის ლაბორატორიის ხელმძღვანელი გრიგოლ ბერდიჩევსკი.

გენერალური მოხსენება თემაზე „რკინა-ბეტონის საზღვაო ნაგებობათა დაპროექტებისა და მშენებლობის საკითხები“ გააკეთა წინასწარ დაძაბული რკინა-ბეტონის სპეციალისტთა საერთაშორისო ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ბენ გერვიკმა (ამერიკის შეერთებული შტატები).

ძირითადი მოხსენებებისა და მეცნიერთა და სპეციალისტთა გამოსვლების შემდეგ გაიმართა დისკუსიები განსახილველ პრობლემებზე.

ქართველი მუსიკოსები ლიტვაში

ლიტვაში დაიწყო სსრ კავშირის ხალხთა ხელოვნების დღესასწაული, რომელიც გახსნა თბილისის ფილარმონიის კამერულმა ორკესტრმა. სტუმრები გამოვიდნენ ლიტვის ახალი სამრეწველო ცენტრის პანევეჟისის მუსიკის მოყვარულთა წინაშე, ხოლო წინა დღეს შეხვდნენ ვილნიუსელ მსმენელებს.

აუდიტორია გულთბილად შეხვდა ქართველ მუსიკოსებს, კერძოდ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს მარინე იაშვილსა და საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს იგორ პოლიტკოვსკის. ორკესტრმა შეასრულა ჰაიდნის, მოცარტის, ვივალდის, შოსტაკოვიჩის, აგრეთვე ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები. „თავისი სტილით თანამედროვე ნაწარმოებები, რომლებიც ჩვენ მოვისმინეთ, — თქვა ლიტვის ორკესტრის ხელმძღვანელმა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა სონდეცკისმა, — ღრმად ემოციური და მელოდიურია“.

თავის მხრივ ოქტომბრის შუა რიცხვებში ლიტვის კამერული ორკესტრი ეწვევა საქართველოს და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებს.

ტოკიოს კონგრესზე

მსოფლიოს 170 ქვეყნის 600-ზე მეტი დელეგატი მონაწილეობდა ოფთალმოლოგთა აფრიკა-აზიის V კონგრესზე, რომელმაც ეხლახან დაამთავრა მუშაობა ტოკიოში. საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ და კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქართველი სპეციალისტები — თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ოფთალმოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი ჯიმი ანთელავა და ამ კათედრის უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვალენტინ კონტრიძე.

ქართველ მეცნიერთა მოხსენებას, რომელიც თვალის დიდმნიშვნელოვან ორგანოში — ბადურაში სისხლის მიმოქცევის შესწავლას მიეძღვნა, ინტერესით შეხვდნენ კონგრესის მონაწილენი.

ქართული ლექსიკოლოგიის შენაძენი

ჩვენი გაზეთის მკითხველმა იცის, რომ ციურიხში იბეჭდება კიტა ჩხენკელის (1895-1963) მიერ შედგენილი დიდი „ქართულ-გერმანული ლექსიკონი“ (1960-1971 წ. — 21 ნაკვეთი), რომლის გამოცემასაც, შემდგენლის გარდაცვალების გამო, ქართველი მეცნიერის შვეიცარელი მოწაფეები — იოლანდა მარშევი, რუთ ნოიკომი და ლეა ფლური განაგრძობენ.

თბილისში მიღებულია ამ ლექსიკონის ახალი — 22-ე ნაკვეთი — ც (ცდ) — ძ (ძირ), 1972 წელი, გვ. 1979-2074. იგი ისევე მაღალ აკადემიურ და ტექნიკურ დონეზეა შესრულებული, როგორც წინა ნაკვეთები.

გამომცემლებს ეუსურვებთ ამ დიდი საქმის წარმატებით დასრულებას.

შენდება, მშვენდება...

თბილისის ფართო პროსპექტები თუ მიხვეულ-მოხვეული ვიწრო ქუჩები, სანაპირო თუ მტკვარზე გადებული ხიდები ერთნაირად ხიბლავს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ სტუმარს თუ ბევრის მნახველ უცხოელ ტურისტს, მაგრამ თბილისის უპირველესი მოთაყვანენი მაინც თვით თბილისელები არიან...

როგორც ქალაქის მთავარ არქიტექტორს, ხშირად მეკითხებიან — როგორია თბილისის ხვალინდელი დღე? რა უნდა აშენდეს, რა გადაკეთდეს, რა დარჩეს ხელშეუხები ჩვენთვის თუ მომავალ თაობათათვის?

პასუხად თბილისის განვითარების და რეკონსტრუქციის ახალ გენერალურ გეგმას ვიშველიებ: 2000 წლისათვის ქალაქის ტერიტორია გაიზრდება 30. 900 ჰექტარამდე, თბილისში იცხოვრებს 1.250.000 კაცი, საცხოვრებელი ფართობი გაიზრდება 15.000.000 კვადრატულ მეტრამდე — თითოეულ თბილისელს 12 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ექნება...

ამ მეტყველი ციფრების მიღმა დედაქალაქის ყველა მოკეთეს ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს დიდი შემოქმედებითი გაჯაჭვა ჩვენი ხალხისა, რომელმაც, ვინ მოსთვლის, რამდენჯერ აღადგინა მტრისაგან შემუსრული ქალაქი...

თბილისი — საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო, სამეცნიერო და კულტურული ცენტრი, მსოფლიოს უძველეს ქალაქთა რიცხვს მიეკუთვნება. უკანასკნელი დროის არქეოლოგიური მონაპოვრები მოწმობენ, რომ მისი ტერიტორია დასახლებული ყოფილა ჯერ კიდევ 5-6 ათასი წლის წინათ. ქალაქის განვითარების ყველა ეტაპი დაკავშირებულია ქართველი ხალხის თავდადებულ ბრძოლებთან სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ქალაქს განვითარების გზაზე არაერთხელ განუცდია მწარე დამარცხებანი და ბრწყინვალე გამარჯვებანი, შეუბრალებელი განადგურება და ხელახალი აღორძინება, ჰეშმარიტ აყვავებას კი ჩვენს დღეებში მოესწრო.

XIX საუკუნის დამდეგს თბილისის ისტორიაში, ისევე როგორც საქართველოს ცხოვრებაში, დაიწყო ქალაქის მშვიდობიანი განვითარების ხანა. 60-იანი წლებიდან თბილისში სწრაფად იზრდება ვაჭრობა, იწყება ახალ საწარმოთა და რკინიგზის მშენებლობა, ირღვევა თბილისის ფეოდალური მყუდროება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდან, თბილისის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა — ქალაქი სოციალისტური მშენებლობის გზას დაადგა. ქალაქმა, რომლის მოსახლეობა 300 ათას კაცს შეადგენდა, გეგმაზომიერი განვითარება დაიწყო. ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში შედგა თბილისის რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმა, ქალაქის ისტორიაში პირველად დაისახა მისი ზრდის და განვითარების პერსპექტიული შესაძლებლობები. 50-იან წლებში დამუშავდა რიგით მეორე გენერალური გეგმა, რომელსაც საფუძვლად დაედო იმ დროისათვის ქალაქმშენებლობის ახალი ტექნიკური ნორმები, პრაქტიკითა და მეცნიერულად დასაბუთებული პრინციპები.

აღნიშნული გეგმების განხორციელების პერიოდში თბილისმა ძირფესვიანად იცვალა სახე — იგი გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი ქალაქი, საცხოვრებელ-საზოგადოებრივ ნაგებობათა მოცულობის გაზრდასთან ერთად ჩატარდა დიდი კეთილმოწყობითი სამუშაოები.

გაყვანილია მრავალი ახალი საქალაქო-სატრანსპორტო მაგისტრალი, გაშენდა მტკვრის სანაპიროები ქალაქის მთელ სიგრძეზე; აშენდა მეტროპოლიტენი; მტკვარზე აშენდა ახალი ხიდები, სახე იცვალეს ძველებმაც...

შექმნილია კულტურისა და დასვენების ახალი პარკები: მთაწმინდაზე, ვაკეში, თბილისის ზღვაზე, ლისისა და კუს ტბებზე. გაშენდა მრავალი ბაღი და სკვერი.

აშენდა არქიტექტურული თვალსაზრისით ღირსაცნობი მრავალი ადმინისტრაციული, საზოგადო, კულტურულ -საგანმანათლებლო, სპორტული და სხვა დანიშნულების შენობა და ნაგებობა, როგორიც არის: მთავრობის სასახლე, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომპლექსი, სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კორპუსები, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსი, მრავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სკოლა და ტექნიკუმი, სპორტული მოედანი და კორტები, სტადიონები, სპორტის სასახლე, სახტუმროები — „ივერია“, „საქართველო“, „აფხაზეთი“, „კოლხეთი“ და სხვები, ტელეცენტრისა და კინოსტუდიის კომპლექსები; ცირკი, მუსკომედიის თეატრი, კინოთეატრები, კინოსაკონცერტო დარბაზი, სამკურნალო დაწესებულებები და სხვ.

თბილისს გარს ერტყმის ახლად გაშენებული მწვანე მასივები.

50-იან წლებში დამუშავებული გენერალური გეგმა ვეღარ პასუხობდა თანამედროვე ქალაქმშენებლობის ახალ პროგრესულ პრინციპებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ ქალაქის დაგეგმარების სტრუქტურაზე, მისი არქიტექტურულ-მხატვრული იერის ფორმირებაზე; 1962 წელს მიღებული იქნა გადაწყვეტილება თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ახალი გენერალური გეგმის დამუშავების შესახებ.

ახალი გენერალური გეგმა, რომელიც მოიცავს პერიოდს 2000 წლამდე, განიხილა და დაამტკიცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ.

თბილისის გენერალური გეგმის შედგენისას მწვავედ დადგა რიგი საკითხებისა, რომელთა სწორ გადაწყვეტაზე დამოკიდებული იყო ქალაქის შემდგომი განვითარების მიმართულება. ამ საკითხებს შორის გამოირჩეოდა თბილისის ტერიტორიული ზრდის მიმართულების არჩევა, რასაც უნდა უზრუნველეყო საცხოვრებლად მოხერხებული ადგილების ამორჩევა, ჯანმრთელობის კერის და ლამაზი განაშენიანების შექმნის შესაძლებლობა იმ სპეციფიურ, დამახასიათებელ თავისებურებათა შენარჩუნებით და გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებენ და ალამაზებენ დედაქალაქს. წინასწარი ვარიანტების ურთიერთ შედარების შედეგად თბილისის ტერიტორიული ზრდა გენერალური გეგმით ძირითადად გათვალისწინებულია თბილისის ზღვის გარშემო მდებარე ტერიტორიის განაშენიანებით, რომელზეც შესაძლებელი იქნება დასახლდეს 400 ათასზე მეტი მცხოვრები და რაც უზრუნველყოფს ქალაქის კომპაქტურ განაშენიანებას, მოხერხებულ კავშირს დასახლებულ და სამრეწველო ტერიტორიებს შორის, განსაკუთრებით კი მაღალმხატვრული დონის მიღების ფართო შესაძლებლობას, — ქალაქის განაშენიანების ცენტრში მოქცეული თბილისის ზღვის დიდი სარკე, ირგვლივ გათვალისწინებული მწვანე ნარგავთა ფართო მასივი, მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება ქალაქის მხატვრული იერისათვის.



რეკონსტრუქციის სამუშაოთა ჩატარებაში იგულისხმება ქალაქთმშენებლობის ყველა საკითხის კომპლექსური გადაწყვეტა, მათ შორის, სარეკონსტრუქციო უბნებში ავარიული და საცხოვრებლად უვარგისი სახლების აღება და მათ მაგიერ ახლის აგება. გათვალისწინებულია აგრეთვე იმ სახლების შენარჩუნება და ნაწილობრივი რეკონსტრუქცია, რომლებიც ვარგისია საცხოვრებლად.

ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორიც არის კინო-საკონცერტო დარბაზი, სავაჭრო ცენტრი და ტელეგრაფის შენობა რუსთაველის პროსპექტზე, სტადიონ „დინამოს“ რეკონსტრუქცია და სხვა, გამოიწვევენ ახლომდებარე ტერიტორიების ახლებურ დამუშავებას. ახალ მშენებლობათა განლაგება ქალაქის მთელ ტერიტორიაზე ახალ მხატვრულ აქცენტებს შეიტანს მის საერთო განაშენიანებაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იქნება მშენებარე ავტოვაგზლის შენობა ორთაჭალაში, სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კომპლექსები და ველოტრეკი საბურთალოში, ღია საცურაო აუზი სანაპიროზე, დასვენების ზონა და საცურაო აუზების კომპლექსი რიყეზე, ხიდი მტკვარზე — დიღომში, საავტომობილო გვირაბი მეტეხის პლატოს ქვეშ და მის გაგრძელებაზე, ესტაკადა მტკვარზე და სხვა მრავალი მშენებლობაში მყოფი შენობა და ნაგებობა.

ქალაქის არსებული ცენტრის განაშენება ძალზე გადატვირთულია. ცენტრის რეკონსტრუქცია, მისი იდეური, ფუნქციონალური და არქიტექტურულ-მხატვრული სახის შენარჩუნება მეტად რთულია არა მარტო მატერიალური თვალსაზრისით, არამედ ტერიტორიული შეზღუდულობის გამოც. ამიტომ მისი შემდგომი გაფართოება გენერალური გეგმით გათვალისწინებულია ძირითადად მტკვრის მარცხენა ნაპირზე და თბილისის ზღვის მიდამოების მიმართულებით. აქ განთავსდებიან ახალი ადმინისტრაციული და სავაჭრო დაწესებულებები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, კულტურის სახლები, საკონცერტო დარბაზები, სპორტული კომპლექსები და სხვა.

იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ ახალი ცენტრის მშენებლობის მოცულობა, საკმარისია აღინიშნოს, რომ საპროექტო ვადისათვის ქალაქის მოსახლეობის მომსახურების დანიშნულების შენობათა მოცულობა საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე უნდა გაიზარდოს 8,9 კუბური მეტრიდან (რომელიც ამჟამად გვაქვს ქალაქში) 27 კუბურ მეტრამდე.


თბილისის გენერალურ გეგმაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი საწარმოო ზონისა და საცხოვრებელი უბნების მიზანშეწონილი ურთიერთგანლაგება, რომელიც უზრუნველყოფს მათ შორის უმოკლეს და მოხერხებულ სატრანსპორტო კავშირს.


ერთნაირი ხასიათის საწარმოები დაჯგუფებულია ერთად, რაც გაცილებით უკეთესად სწყვეტს ენერგეტიკულ, კომუნალურ და დამხმარე მეურნეობების რაციონალური გამოყენების საკითხს. ამ მიზნით ნავარაუდევია 19 საწარმოს გატანა ქალაქის არსებულ განაშენიანებიდან, 8 საწარმოს გაერთიანება გამსხვილების მიზნით და სხვა.

გენერალური გეგმა ითვალისწინებს თბილისის მრეწველობის განვითარებას ძირითადად არა ახალ საწარმოთა მშენებლობების გზით, არამედ არსებულის მოდერნიზაციით, მექანიზაციის განვითარებით და წარმოების ავტომატიზაციით.

გენერალური გეგმით ქალაქის ახალი განაშენიანება გათვალისწინებულია განხორციელდეს სხვადასხვა სართულიანი საცხოვრებელი სახლებით, მათ შორის: 9

(დასასრული მე-2 გვ.).





სურათებზე: ზემოთ — ვაჟა-ფშაველასა და პავლოვის გამზირები საბურთალოზე; ქვემოთ — მარცხნიდან დიღომის ერთ-ერთი კუთხე; გლდანის ახალი საცხოვრებელი რაიონი 140 ათას მოსახლეზე, რომელიც შენდება.

მშენდება, მშვენდება...



(დასასრული)

სართულიანებით — 75 პროცენტის რაოდენობით, 12-16 სართულიანებით — არა უმეტეს 15 პროცენტისა. ამ შეფარდებიდან გამომდინარე საცხოვრებელი ფართის სიმჭიდროვედ მიღებულია საშუალოდ 2500 კვადრატული მეტრი ერთ ჰექტარზე.

თბილისის გენერალური გეგმით დასახულია საცხოვრებელი ფართის გადიდება ერთ მოსახლეზე 1980 წლისათვის 9,7 კვადრატულ მეტრამდე, ხოლო 2000 წლისათვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 12 კვადრატულ მეტრამდე. ამ ამოცანის შესასრულებლად საჭირო იქნება უკვე 1980 წლისათვის აშენდეს 4,5 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რომლიდანაც 25 პროცენტი განთავსებული იქნება სარეკონსტრუქციო ზონაში.

თბილისის ძველი ნაწილის ქუჩებისა და კვანძების არსებული ქსელი, ისევე როგორც მსოფლიოს ძველი ქალაქების უმრავლესობაში, უვარგისია თანამედროვე ტრანსპორტის მოძრაობისათვის (ვიწრო ქუჩები, ხშირი ურთიერთ გადაკვეთა, რთული პროფილი და სხვა). ამის გამო საქალაქო ტრანსპორტი, რომელიც გაანგარიშებულია 80-100 კილომეტრ სიჩქარეზე საათში, ამჟამად ქალაქის ფარგლებში მოძრაობს საშუალოდ 10-15 კილომეტრის სიჩქარით.

ტრანსპორტის ნორმალური სიჩქარით და უსაფრთხო მოძრაობით უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია შეიქმნას ახალი და გადაკეთდეს არსებული სატრანსპორტო მაგისტრალები 415 კილომეტრის საერთო სიგრძით, მათ შორის უწყვეტი ჩაროსნული მოძრაობისათვის უნდა შეიქმნას ასამდე ახალი სატრანსპორტო კვანძი; რკინიგზის 22 გადასასვლელი, 7 ესტაკადა 3 კილომეტრი საერთო სიგრძით, ხუთი გვირაბი, ახალი ხიდები მტკვარზე და სხვა.

მოსახლეობის ტრანსპორტით უკეთ მომსახურების მიზნით გენერალური გეგმა ითვალისწინებს მეტროპოლიტენის შემდგომ განვითარებას. პირველ რიგში ნავარაუდევია საბურთალოს საცხოვრებელი მასივის უზრუნველყოფა მეტროპოლიტენით. გათვალისწინებულია აგრეთვე სადგურ დიდუბის გაგრძელება დიღმის და ავჭალის მიმართულებით. ქალაქის სამხრეთი მიმართულების დასაკმაყოფილებლად ნავარაუდევია სადგურ სამგორთან მეტროპოლიტენის განშტოება საწარმოო რაიონისაკენ და თბილისის ზღვის ტრანსპორტი) განვითარებას.

ქალაქის წყლით მომარაგების ამოცანების გადასაწყვეტად გათვალისწინებულია 40 კილომეტრიანი მაგისტრალური წყალსადენის გაყვანა ჟინვალის წყალსაცავიდან საწმენდ ნაგებობათა აშენებითა და სამარაგო რეზერვუარების აგებით.

საპროექტო ვადისათვის ქალაქში განლაგებული იქნება 47 სარაიონო საქვაბე და 2 მძლავრი თბოელექტროცენტრალი, რაც მოგვცემს 60-მდე ინდივიდუალური და საწარმოო საქვაბის ლოკვიდაციის საშუალებას და ხელს შეუწყობს ჰაერის სისუფთავის გაუმჯობესებას, მოსახლეობას მთლიანად უზრუნველყოფს გათბობითა და ცხელი წყლით.

ნაგვის გადასამუშავებლად ქალაქში უნდა აშენდეს 2 ქარხანა.

შეიქმნება ტყე-პარკი, საზოგადოებრივი დანიშნულების მწვანე ნარგავთა ფართობი გადიდდება 600 ჰექტარიდან 8000 ჰექტარამდე. გაშენდება ახალი ბაღები, სკვერები, ხეივნები და სხვა. ეს საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ ერთ სულ მცხოვრებზე მწვანე ნარგავთა ფართობი 8 კვადრატული მეტრიდან 20-25 კვადრატულ მეტრამდე დადგენილი ნორმების შესაბამისად.

გენერალური გეგმით დაზუსტებული და დამუშავებულია ქალაქის საგარეუბნო ზონა, რომელშიც მოქცეულია კურორტები: მანგლისი, წყნეთი, კიკეთი, ოქროყანა, კოჯორი, აგრეთვე დუშეთის სამხრეთი ნაწილი, თეთრი წყაროს რაიონის ნაწილი, თიანეთის სამხრეთი ნაწილი და მცხეთის რაიონის აღმოსავლეთი ნაწილი.



მიდამოების განაშენიანებისაკენ, ვარკეთილის საცხოვრებელი მასივის გავლით.

მეტროპოლიტენის მშენებლობასთან ერთად გენერალური გეგმა ითვალისწინებს მგზავრთა მასობრივი გადაყვანის სხვა სატრანსპორტო საშუალებათა (ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი, საბაგირო

გენერალური გეგმით დასახული საგარეუბნო ზონა ერთდროულად მოემსახურება 500 ათასზე მეტ დამსვენებელს.

• • •


ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა გამოხატავს ქალაქის თითოეული მცხოვრების საარსებო ინტერესებს. ამ დოკუმენტით კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თბილისის მშრომელებს უსახავენ შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესების ახალ პერსპექტივებს. საქართველოს დედაქალაქი კიდევ უფრო აშენდება და დამშვენდება...

შოთა ყავლაშვილი,
თბილისის მთავარი არქიტექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი.

• • •

სურათებზე: ზემოდან — ორჯონიკიძის სახელობის მოედანი საბურთალოზე; დიღომი; უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკთა საცხოვრებელი რაიონის პროექტი ბაგებში.

ოთარ თურაშვილის ფოტოები



პოღოს სოღომონიანი დაიბადა 1927 წლის 18 იანვარს ქალაქ ბეირუთში, ღარიბი სომეხის ოჯახში, რომელმაც 1914 წელს თავისი ერის დევნილ შვილებთან ერთად იქაურობას შეაფარა თავი. 1947 წელს პოღოს სოღომონიანის მშობლები შვილებ-შვილიშვილებიანად აიყარნენ თავიანთი თავშესაფრიდან და მშობლიურ სომხეთს დაუბრუნდნენ. პოღოს სოღომონიანმა ავტომანქანის მეთუნუქეობა ბავშვობიდანვე შეისწავლა და რაკი საქართველოში ბევრი კერძო მანქანა ეგულებოდა, ჩვენთან მოაშურა როგორც დაზიანებული მანქანის ხელახლად გამაცოცხლებელმა ოსტატმა. მაგრამ პოღოსს მეორე სიყვარული, მეორე და უმალ ყველაზე სანუკვარი გატაცებაც აქვს — ლექსებს წერს. ვაი, რომ ბავშვობაში სწავლა ვერ მიიღო, დავატკაცებულ ოჯახის მამას კი ლექსებისათვის ღამეებიღა რჩება... ცხოვრობს თბილისში, ბრწყინვალედ ქარგავს ნებით თუ უნებურად დაზიანებულ ჩვენს მანქანებს და ლექსებსაც გვიწერს



სიყვარულზე, კაცურ-კაცობაზე, ძმობასა და ერთობაზე — საქართველო და სომხეთი ხომ ოდითგანვე ერთად ეწეოდნენ შრომისა და ცხოვრების ჯაჭანს...

პოღოს სოღომონიანი

საქართველოს

ვენაცვალე მაგ შენს დროშებს,
შეიმი გაქვს არნახული,
სიხარულის ღვარად მოჩქეფს —
ორი წმინდა ნაკადული.
ვუფრთხილდები მე მის წვეთებს —
არ შევრიო მღვრიე ტალღებს,
თქვენთან ყოფნა მაიმედებს, —
ძმობის სარკმელს გრძნობით ვაღებ.
ოდითგანვე ეს სიწმინდე
წინაპრებმა მიანდერძეს.
მე არ მინდა სხვა სიმდიდრე,
ძმობის გარდა, არც რას ვეძებ.
ეს წვეთები თავანჯარა
ჩემს ნაკადულს კვლავაც ავსებს,
მეგობრობამ გამახარა,
მეგობრობა გვალამაზებს.

თარგმნა სტეფანე მხარგრძელმა.

□ □ □

დედაბოძი

ნერგს პაწაწას, სათუთს,
სიცოცხლით რომ ხარობს,
ჭიგო უდგას მხარში
მაგარი, უბზარო...
რომ ავყია ქარმა,
უშნოდ არ მოჰხაროს,
რომ პაწაწამ ტანი
სწორედ აიყაროს...
...ასე პედაგოგიც
გულით რომ შეეხარით,
მუდამ ბრძნული აზრით,
მუდამ რწმენით მყარით,
ჩვენი სწორედ აღზრდის
დედაბოძი არის!

თარგმნა ბ. ჟართველიშვილმა

□ □ □

ნეტავი ყველა
ისე დაბადა,
კაცს თაფლად ექცეს,
აღჯანაბადად,
ავს ავდრად — ღრუბლად,
კეთილს — ნაბადად...
ნეტავი ყველა
ისე დაბადა,
კაცის ვარამი
გაიზიაროს

და ქვეყნად მუდამ
ისე იაროს,
რომ მოევლინოს
ჭკვიანს ბრძენადა,
კარგ კაცს მთოვარედ
ებადრებოდეს,
ჭიანჭველა რომ
ჭიანჭველაა,
ისიც კი ყველგან
ებრალებოდეს...

მტკვარს

შემოდგომა აფრქვევს მთა-ბარს
სულ სხვა ლაზათს, სულ სხვა მარილს.
შენს ნაპირზე მოველ, მტკვარო,
შენი ძველი მეგობარი.
გაგიშლია ფართოდ მხრები,
სინათლედ გვფენ ტალღათ ფაფარს,
სადაც ყანებს ცვრად ელვრები,
ხვატი, გვალვა იქ სულს ღაფავს.
შენს დუდღუნში, შენს დრტვინვაში
ხალხთა ძმობის ჰანგიც მესმის.
ვხარობ, რადგან ქვეყნად სხვა ხმა
არც არსებობს უკეთესი!

თარგმნა ნანა გოგუაძემ

მოძმე ლიტერატორთა კვირეული

ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში გაიმართა საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის კვირეული. ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მწერალთა ორგანიზაციების წარმომადგენელი, ოცდაათზე მეტი თვალსაჩინო პროზაიკოსი და პოეტი ჩავიდა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ამ დღესასწაულზე. სტუმართა შორის იყვნენ ლიტერატორები, რომელთა შემოქმედებას კარგად იცნობენ ბელორუსი მკითხველები. მარტო ომისშემდგომ 25 წლის მანძილზე რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებიდან ითარგმნა და გამოვიდა 2.579 დასახელების წიგნი, რომელთა ტირაჟი 100 მილიონ ცალს აღწევს.

დღესასწაულის გახსნას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. მაშეროვი, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე თ. სურგანოვი, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტ. კისელიოვი და სხვები.

ბელორუსიის სახალხო პოეტმა მაქსიმ ტანკმა, რომელმაც გახსნა საზეიმო კრება, თქვა:

— ხალხთა ლენინური მეგობრობა მკაფიოდ ისახება ჩვენს მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურაში, რომელიც დღეს ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხთა 70-ზე მეტ ენაზე „ესაუბრება“ მილიონობით მკითხველს. საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის კვირეული ბელორუსიაში ჩვენი საერთო ანგარიშია ხალხისა და პარტიის წინაშე, რომელსაც ჩვენ, საბჭოთა მწერლები, უდიდეს მადლობას გუხდით ჩვენდამი მზრუნველი დამოკიდებულებისა და დახმარებისათვის.

ძველი საქართველოს ისტორია



პოლონურ ენაზე გამოქვეყნდა ინგლისელი ქართველოლოგის პროფესორ დევიდ ლანგის მიერ შედგენილი საქართველოს ისტორია «Dawna Gruzja» (ვარშავა, 1972 წ.), რომელიც სათაურით «The Georgians» („ქართველები“) პირველად ინგლისურ ენაზე დაისტამბა 1966 წელს.

პოლონური გამოცემის კონსულტანტია ქართველოლოგი იან ბრაუნი.

წიგნი იწყება ძველი წელთაღრიცხვის 5 ათასწლეულიდან და მკითხველს აცნობს ქართველი ტომების ადგილსამყოფელსა და ცხოვრებას ქ. წ. მტკვარ-არაქსის (ძველი წელთაღრიცხვის 2.200 წლამდე) და საერთოდ ქვისა და ბრინჯაოს ხანების ქართულ კულტურას (ძველ ეპოქათა უკანასკნელ ასეულებამდე), ამავე ტომების ურთიერთობას ასურეთის, ურარტუს, ბაღესტინის, სპარსეთის, საბერძნეთის, კავკასიისა და უახლესი ჩრდილოეთის ხალხებთან.

ავტორი უფრო ვრცლად ჩერდება ანტიკური ხანის ჩვენს წინაპრებზე, კოლხეთის, ლაზიკისა და იბერიის ისტორიაზე, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების, ქართული დამწერლობისა და მწერლობის განვითარების საკითხებზე.

დევიდ ლანგი აღწერს ქართულ ჭრინდელსა და განვითარებულ ფეოდალიზმს, ახასიათებს ვახტანგ გორგასლის წარმატებით ბრძოლებს სპარსეთის წინააღმდეგ, გუბაზ მეფის საგარეო პოლიტიკას, საქართველოში არაბთა ბატონობის ძნიმე პერიოდს, არაბების წინააღმდეგ მეფე დავით მესამის (კურაპალატის) ბრძოლებსა და მიღწევებს, ქართველთა ურთიერთობას ბიზანტიასთან, ქართული კულტურის ზითარებას მე-8-11 საუკუნეებში.

ავტორი საფუძვლიანად აფასებს დავით აღმაშენებლის სიბრძნესა და სიმტკიცეს, მის უდიდეს ამაგს სამშობლოს წინაშე, გიორგი მესამის მეფობასა და თამარ მეფის უბადლო მოღვაწეობას, მაშინდელი ქართული მდიდარი კულტურის მაღალ დონესა და მის მზეს — რუსთაველს, თამარის მემკვიდრეების — გიორგი ლაშასა და რუსუდანის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ქართველების ბრძოლას ხვარაზმელების წინააღმდეგ, მონღოლების შემოსევასა და ამ გარემოებით შექმნილ მძიმე ვითარებას.

დასასრულებულ წიგნში საქართველოს ისტორია წარმოდგენილია 1236 წლამდე. აქ უძველესი საქართველო დახასიათებულია, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის ერთი უმნიშვნელოვანესი კვანძი, ხოლო მე-11-12 საუკუნეთა საქართველო — როგორც წინა აზიის ერთ-ერთი უძლიერესი და მაღალი კულტურის ფეოდალური სახელმწიფო.

წიგნის ტექსტში ჩართულია ქართული კულტურის უშესანიშნავესი ძეგლების ფერადი ფოტოსურათები. წიგნი ჩასმულია ლამაზ ყდაში.

პროფესორ დევიდ ლანგის ეს წიგნი ძველ საქართველოს ვრცლად და კარგად აცნობს უცხოელ მკითხველს. ავტორს ვუსურვებთ, შემდეგდროინდელი საქართველოს ისტორიაც აგრეთვე თანმიმდევრულად და საინტერესოდ გადმოგვცეს — ველით წიგნის მეორე ტომს. სასურველია მას ახლდეს რუკა.

პროფესორი დევიდ ლანგი და მისი ნაშრომის პოლონურ ენაზე მთარგმნელი და გამომცემლები გვერწმუნონ, რომ ჩვენი ხალხი დიდად აფასებს ყოველ უცხოელს, რომელიც კი წრფელი გულით ეპყრობა ჩვენი კულტურის ისტორიას, ხელს უწყობს მის პოპულარიზაციას. მადლიერება ქართული ლაღი ბუნების ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისებაა.

იოსებ მეგრელიძე,
პროფესორი.

ქართველი ფოტოხელოვნები ლიტვაში

ლიტვის ცნობილ ზღვისპირა კურორტ პალანგაში გაიმართა საქართველოს პროფსაბჭოს რესპუბლიკური ფოტოკლუბის „საქართველოს“ მხატვრული ფოტოგრაფიის გამოფენა.

გამოფენის ექსპოზიცია მოაწყო ლიტვის ფოტოხელოვნების საზოგადოებამ თბილისში გამართული „ლიტვა-საქართველოს“ გამოფენის პასუხად.


ექსპოზიცია პალანგაში მიეძღვნა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს და წარმოადგენდა ქართველი ფოტოოსტატებისა და ფოტომოყვარულების მიღწევათა დათვალიერებას.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 30 ავტორის მხატვრული ფოტოგრაფიის 100 საუკეთესო ნამუშევარი.

პალანგის საგამოფენო დარბაზი მრავალმა ათასმა მაყურებელმა დაათვალიერა.

სტენდებზე გაშლილი ექსპოზიცია მხატვრული ფოტოგრაფიის მრავალი ჟანრით ასახავდა საქართველოს თანამედროვე ცხოვრებას, ჩვენს ცნობილ თანამემამულეებს, რესპუბლიკის მიღწევებს მრავალ დარგში, საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმტაც პეიზაჟებს. წარმოდგენილი იყო **სიმონ კილაძის, ალექსანდრე სააკოვის, მერაბ თათარიშვილისა** და სხვათა ნამუშევრები.


ფოტოკლუბ „საქართველოს“ გამგეობის თავმჯდომარემ კილაძემ ლიტვის ფოტოხელოვნების საზოგადოებას გადასცა ჟურნალისტის გურამ თიკანაძის სახელობის სამახსოვრო ვერცხლის მედალი, რომელიც შეასრულა ცნობილმა ქართველმა ოქრომჭედელმა **კარლო ჭუთათელაძემ.**



ზ. დათუაშვილის — „ზამთარი“



გ. ალვარიძის — „ორნი“.



ს. კილაძის — „სვანეთის პეიზაჟი“

ჩვენი მეგობარი ქეთრინ ეშტონი

რედაქციაში დარეკეს: თბილისში ტურისტული საგზურით იმყოფება ინგლისელი ქალი — ქეთრინ ეშტონი, რომელმაც რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ საკუთარი პროზაული თარგმანი ჩამოიტანა ქართველ რუსთველოლოგებთან შესაჯერებლადო. ცნობამ დაგვაინტერესა და სტუმარს ვესტუმრეთ მე და ჩვენი ფოტოკორესპონდენტი ედუარდ გიგილაშვილი. მასპინძელი ჩვენებური სტუმართმოყვარეობით გვეგებება. არაფერი ვიცოდით მის შესახებ, ყველაფერი გვაინტერესებდა — ვინ არის, როგორ ისწავლა ქართული, რამ ათარგმნინა „ვეფხისტყაოსანი“, სხვა რომელ ქართველ მწერალს იცნობს...

ქეთრინი მწერალ ჩარლზ ვივიანის ოჯახში დაბადებულა, დედა — დიასახლისი ჰყოლია, მაგრამ ლიტერატურის დიდი მოყვარული ყოფილა. ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ მწერლები, ხელოვნების მოღვაწენი. „პატარაობიდანვე მიყვარდა უფროსების მოსმენა, — გვეუბნება ქალბატონი ქეთრინი, — მათი სჯა-ბაასი, მოთხრობების კითხვა-განხილვა მახარებდა. ბავშვობაშივე ვწერდი პატარა მოთხრობებს. არაფერი ისე არ მიტაცებდა, როგორც მოთხრობების წერა ჩემს მეგობრებზე და ცხოველებზე. ერთხელ, ათი წლისა ვიქნებოდი, ბავშვები სკოლიდან წაგვიყვანეს მინდვრის ყვავილების მოსაკრეფად. მე მათ გავეპარე, ავძვერი ხეზე და იქ დავწერე გრძელი ლექსი — „სიმღერა ობობასა და მწერებზე“.

ბავშვის მოთხრობებს კითხულობდნენ ოჯახში, ზოგს უქებდნენ, ზოგს უწუნებდნენ, თითქოს თავს ირთობდნენ, პატარა ქეთრინს კი ეს კრიტიკა უფრო მეტად უვითარებდა წერის სიყვარულს. სორბონის უნივერსიტეტში დაეუფლა ფრანგულ ენას. პარიზიდან რომ დაბრუნდა, მუშაობა დაიწყო ლონდონში ბელგიის საელჩოში. წერისათვის მაშინაც არ უღალატნია, როცა ოჯახურ საქმიანობაში ჩაეფლო და ორი ქალიშვილის დედა გახდა. სამსახური უფრო ადვილად დათმო, ვიდრე ლიტერატურული მოღვაწეობა..

„ვეფხისტყაოსანს“ ამ ათი წლის წინათ გაეცნო — „როცა პირველად წავიკითხე „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორისეული თარგმანი, — გვიყვება ქალბატონი ქეთრინი, — ჩემს წინ გადაიშალა სრულიად ახალი ქვეყანა, სიყვარულისა და მეგობრობის, ვაჟკაცობისა და თავდადების სამყარო. მოვიხიბლე, შემიყვარდა რუსთაველი. წავიკითხე სერგი წულაძისეული ფრანგული და ვენერა ურუშაძისეული ინგლისური თარგმანები და გადავწყვიტე პროზის სახით უფრო მარტივი და სადა ენით ინგლისის ფართო საზოგადოებისათვის გამეცნო ეს შესანიშნავი პოემა. უპირველეს ყოვლისა, უნდა შემესწავლა ქართული ენა. შევიარაღდი წიგნებით და დავიწყე დამოუკიდებლად სწავლა. გამიჭირდა, პროფესორ დევიდ ლანგს მივმართე. მან და მისმა სტუდენტმა ელისაბედ ფულამ არაფერი დაიშურეს. მათი წყალობით, მარჯორისეული, წულაძისეული და ურუშაძისეული თარგმანების მეშვეობით მივაღწიე ჩემს საწადელს — ვთარგმნე რუსთაველის მართლაც-და შარად ლამაზი, უძველესი და ამავე დროს ყოველი ეპოქისათვის თანადროული პოემა, რომელიც დღეს ქართველ მეგობრებს ჩამოვუტანე სამსჯავროზე.

ამისრულდა მეორე სანუკვარი სურვილიც — ახლოს გავცნობოდი რუსთაველის ქვეყანას, მის ხალხსა და ყოფას. საქართველოს მიწაზე პირველად რომ დავდგი ფეხი, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს რუსთაველის გმირები გაცოცხლდნენ ჩემს წინ. თბილისელი მასპინძლები ისე გულთბილად შემხვდნენ, როგორც მრავალი წლის უნახავ მეგობარს: გია ბაბუნაშვილი, ნიკო ყიასაშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, თამარ დრაგაძე, დარეჯან მენაბდე, ზვიად გამსახურდია, ლევან მენაბდე, მანანა გიგინეიშვილი, ციალა კბრძელაშვილი და სერგი სერებრიაკოვი ყოველგვარ დახმარებას მიწევენ ჩემს საქმიანობაში და ყოველნაირად ცდილობენ თავი ისე ვიგრძნო, როგორც საკუთარ სახლში“.

იცნობს თუ არა სხვა ქართველ მწერლებს?

როგორ არ იცნობს. მხოლოდ თარგმანით, წაკითხული აქვს „ქართლის ცხოვრება“, მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანი“, ძალიან მოსწონს აკაკი წერეთელი, კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე, სწუხს, რომ საკუთარმა თარგმანმა დიდი დრო წაართვა და ველარ იცლიდა უფრო ახლო გაეცნო ქართული ლიტერატურა.

ქალბატონი ქეთრინი დაესწრო თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში სეზონის გახსნას. მოისიბლა „აბესალომ და ეთერის“ სიუჟეტით, მუსიკითა და ცეკვებით. იყო მთაწმინდაზე, ეწვია გამარჯვების პარკის ზემო ფერდობზე ღია ცისქვეშ 50 ჰექტარზე გაშლილ ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმს, მოისიბლა სვანური კოშკის სიდიადით, ამაყად აზიდული საუკუნეთა მიღმიდან რომ გადმოსცქერის ახალ თბილისს, წითელი კრამიტით გადახურული მეგრული ოდით, ისლით დახურული გურული სამზადითა და ბელღით, რაჭული შუასახლით და სხვა. იყო მცხეთაში, აამეს ჯვარმა, ფასანაურსა და ანანურში ბუმბერაზ მთათა ხილვამ...

მართალია, ქალბატონი ქეთრინი ემოციების გამოვლენაში ინგლისელად რჩება, მაგრამ ყოველივე ნანახი ზოგჯერ იმდენად შთამბეჭდავია, რომ უჭირს აღტაცების დაფარვა. ესეც მოხდა, როცა ესტუმრა საქართველოს სახალხო მხატვარს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს ელენე ახვლედიანს, საქართველოს დამსახურებულ მხატვარს, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ირაკლი ოჩიაურს და საქართველოს დამსახურებულ მხატვარს კობა გურულს. აღტაცებული დარჩა ოჩიაურის ჭედური პორტრეტებითა და ფშაური ექსპოზიციებით. სტუმარ-მასპინძელმა ისაუბრეს ჭედურ ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, ხელოვნების ხალხურობაზე და მასთან დაკავშირებულ მრავალ საინტერესო საკითხზე. სანთლების შუქზე მაგიურ ფერებში ამეტყველებულ ფრესკებად იმზირებოდნენ კობა გურულის სახელოსნოს კედლებიდან ჭედური ნამუშევრები, „შენ ხარ ვენახის“ მელოდიური ჰანგები კი სმენას გვატკბობდა. სტუმრის ყურადღება მიიქცია „შუშანიკის წამებისა“ და „ამირანის“ ესკიზებმა, რომელთაც მხატვარი მალე აამეტყველებს ლითონზე, „დავით აღმაშენებელმა“, „რუსთაველმა“, „იმერელმა მექვევრემ“. კარგა ხანს უმზირა „მცხუნვარე ზაფხულს“. მერე მორიდებით აღნიშნა — მომწონს, მაგრამ თუ ნებას მომცემთ, სახელწოდებას შევუცვლი — „მზეში ბანაობა“ უფრო მოუხდებოდაო. მართლაც, ესე ზუსტად აღთქმა სურათის არსისა, სხვანაირად არც შეიძლებოდა და კობა გურულიც სიამოვნებით დაეთანხმა. საპატიო სტუმარს მხატვარმა საქართველოს სახელით უძღვნა ჭედური ყდით დამშვენებული „ვეფხისტყაოსანი“.

ქალბატონი ქეთრინი სექტემბრის ბოლომდე დარჩა თბილისში. მოინახულა საქართველოს მრავალი ღირსშესანიშნავი ადგილი და მოხიბლული დარჩა ნანახით. მომავალში რომ ჩამოვალ, თარჯიმანი აღარ დამჭირდებაო, გვითხრა წასვლისას.

ნადია მეგალიშვილი

რედაქციისაგან: ჩვენ მივესალმებით ქართულისადმი, განსაკუთრებით დიდი შოთას ხელთუპყრი ქმნილებისადმი, უცხოელთა ყოველ უურადღებას, მაგრამ ერთი კი დიდად გვაფიქრებს — განა „ვეფხისტყაოსნისადმი“ ყოველი ინტერესი უზრუნველყოფს მსოფლიოში მის უკეთ პოპულარიზაციას?

რას იტყვით, თანამემამულენო, რომელთაც მეტი საშუალება გაქვთ თვალყური ადევნოთ „ვეფხისტყაოსნის“ უცხოეთში თარგმნის საქმეს?



სურათზე: ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის ბაღნარში მოკრეფილ ამ ყვავილებსაც საძველის სურნელი უდის, — ამბობს ქეთრინ ეშტონი.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.

ბალანჩინი და... ბალანჩივაძე



სამი სიყვარული მაქვს — ბალეტი, მამა და ძმა...

ერთმანეთს გაგვაცნო აპოლონ ყიფიანმა, გუგულად რომ იცნობენ ყველგან. მელიქიშვილისა და ლენინის ქუჩების გასაყარზე მადლმოსილად გაშლილ თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზის კულისებში შევხვდით ჯორჯ ბალანჩინს — შუა ხანს კარგა გადაცილებულ კაცს, თუმც კი ჭაბუკურად მგზნებარე ღია ფერის თვალებით, საშუალო სიმაღლისას, შემართული ტანით, გაუტეხელს, ერთი შეხედვით თითქოს ცივს, ოდნავ დაბნეულს, შემოქმედებით გატაცებულ ადამიანებს რომ ეტყობათ ხოლმე... შევხვდი მაშინ, როცა დიდ დარბაზში მისი დასი — „ნიუ-იორკ სიტი ბალეტი“ ცეკვავდა.

— თქვენთან საუბარი მინდოდა.

— კეთილინებეთ. სად, როდის?

— გნებავთ ჩემთან, გნებავთ თქვენთან, იქნებ მცხეთას გავიდეთ ან თბილისის მიდამოებში დავსხდეთ სადმე...

— დრო არა მაქვს, ყველგან მისვლას ვერ ვასწრებ. ანდრიასთანაც კი არ ვყოფილვარ... იქნებ აქვე ჩავიდეთ, მეორე სართულზე, თითო ჭიქა ჩაი დავლიოთ, თან ვისაუბროთ.

ბუფეტში ჩავედით ჯორჯ ბალანჩინი, გუგული ყიფიანი და მე. დარბაზიდან ისმოდა ბახის, ბიზეს, შოპენის, სტრავინსკის მელოდიები, დროგამოშვებით — ტაში, ხან კანტი-გუნტი, ხან ერთობლივი გრიალი, დარბაზს რომ აზანზარებდა. მაყურებლებიდან ბუფეტში არავინ იყო, ზოგი თავისუფალი მსახიობიც გამოსულის მოლოდინში აქვე ჩამოსულიყო. ოფიციანტმა ჩვენს მაგიდას მოაშურა.

— რას ინებებთ, გიორგი მელიტონის ძე?

— ჩემი ხარჩო მზად არის? წიწაკა არ დაგავიწყდეთ. თქვენც მიირთმევთ ხარჩოს? — გუგულიმ და მე ჩაი ვარჩიეთ, ბალანჩინმა ერთი ჭიქა ქართული ღვინოც მოიკითხა. — მიყვარს ქართული ღვინო, ძალიან კარგია, მაგრამ, სამწუხაროდ, ნიუ-იორკში ვერსად იშოვის კაცი. არც ბორჯომი იშოვება. — დავპირდი, რომ მის ნათქვამს ვაცნობებდი საქართველოს საგარეო ვაჭრობის მოთავეს რაფიელ ელიგულაშვილსა და „სამტრესტის“ მმართველს, ცნობილ მეღვინეს გიორგი თუმანიშვილს. ესიამოვნა.

— მიბრძანეთ, რა გაინტერესებთ?

— უპირველეს ყოვლისა თქვენი ეროვნება.

— მე ამერიკელი ვარ.

— მოქალაქეობას არ გეკითხებით, ეროვნება მაინტერესებს.

— ორმოცი წელიწადია ამერიკაში ვცხოვრობ, ამიტომაც ამერიკელი ვარ.

— ჩვენში მოქალაქეობის გარდა, არის ეროვნების მცნებაც, რაც საფუძველია საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისა. ყველა საბჭოთა მოქალაქე გარკვეული ერის შვილიც არის. მართალია, ამერიკაში ეროვნებას არად სთვლიან, მაგრამ ჩვენში ეროვნულობა ერთ-ერთი საფუძველია ხალხთა ურთიერთდამოკიდებულებისა! მამათქვენს, მელიტონს, საქართველო კარგად იცნობს როგორც კომპოზიტორს, „დარეჯან ცბიერის“ ავტორს, საზოგადო მოღვაწეს, თქვენი და ანდრიას მამას. პაპა ვინ გყავდათ? — ამასობაში შემოგვიერთდა ცნობილი კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, ბალანჩინის ძმა.

— პაპაჩვენი, ანტონი, მღვდელი იყო სოფელ ბანოჯაში, ქუთაისის გუბერნიაში. ჩვენც იქიდან ვართ წარმოშობით.

— ბებიაჩვენი მიქელაძეების ქალი ყოფილა, — ჩაურთო ანდრიამ.

— იმერელი ვარ. — წარმოთქვა უცებ ჯორჯ ბალანჩინმა. — გიორგი მელიტონის ძე ბალანჩივაძე.

— იმერელი იგივე ქართველია.

— მაშინ ქართველი ვარ.

— თხუთმეტიოდე წლის წინათ მოწვმე გახლდით ავსტრიელი და ქართველი კომპოზიტორების შეხვედრისა. თქვენც იქვე ბრძანდებოდით, ბატონო ანდრია. ერთ-ერთმა ავსტრიელმა კომპოზიტორმა თავისი ნაწარმოები შეასრულა. თქვენ ჩემს მიერ მოწოდებულ უბის წიგნაკის ფურცელზე ჩაიწერეთ ის მუსიკა, მერე კი როიალს მიუჯექით და ზეპირად დაუკარით უშეცდომოდ, რითაც საერთო აღფრთოვანება გამოიწვიეთ.

— მახსოვს. — მიპასუხა ანდრიამ.

— მუსიკალური ნიჭი, ალბათ, წინაპართაგან დაგყოლათ.

— პაპასაც კარგი სიმღერები სცოდნია, სასულიერო რასაკვირველია. — თქვა გიორგიმ. — ძალიან მომწონს ქართული ხალხური სიმღერები. განსაკუთრებით სამხმიანით ვარ აღფრთოვანებული. უთუოდ გამოვიყენებ. საერთოდ ქართული მუსიკისადმი ვარ ლში ვარ.

— საქართველოსთან ვინ გაკავშირებთ?

— მამა. კარგად მახსოვს, ძალიან კარგად... რევოლუციის პირველ წლებში, სანკტ-პეტერბურგში, სადაც მე დავიბადე, შიმშილობა იყო. ჩვენები ყველანი საქართველოში იყვნენ წამოსულები. სანკტ-პეტერბურგში მარტო ვიყავი. შიმშილისაგან გავსივდი, გავყვითლდი. მისავათებული ვწევარ ლოგინზე და სულის ამოხდას ველოდები... უცებ კარი გაიღო და მამაჩემი შემოვიდა — „შვილო გიორგი, ბიჭო, ეს რა დაგმართია?“ — რუსულ-ინგლისური ენების ერთობლივ კილოზე ქართულად გაიმეორა მამის მიერ 52 წლის წინათ წარმოთქმული სიტყვები ბატონმა გიორგიმ, თან თვალზე ცრემლი მოადგა. — მას აქეთ, როგორც კი გამიჭირდება ცხოვრებაში, მამა გამომეცხადება ხოლმე, ქვეშრში დამტაცებს ანაზდად და ყველა გასაჭირიდან ამომიყვანს, როგორც მაშინ პეტერბურგში დამშეულს ქართული საჭმელ-სასმელით რომ მასულიერებდა ფრთხილად, მეტი არ მოუვიდესო. მამა — ჩემი ღმერთია, რომელიც ყოველთვის გვერდით მყავს.

— მამის გარდა?

— არავინ.

— ბატონი ანდრია?

— ეს ჩემი ნაწილია, ჩვენ ერთნი ვართ. გუშინ ერთმა ბატონმა, ჩვენზე რომ ლაპარაკობდა, შეცდომა დაუშვა — თქვენ სისხლის ძმები ხართო. რას ბრძანებთ, სისხლის ძმა სულ სხვაა, ჩვენ ღვიძლი ძმები ვართ, დედაც ერთი გვყავდა და მამაც.

— ქართველი ხალხი?

— ძალიან თბილად შემხვდა, სიყვარულით, მსგავსი არ მახსოვს, ნიუ-იორკში წამდაუწუმ ვკითხულობთ — როგორ არის სალაროს საქმე. აქ კი, თორმეტმილიონიან ნიუ-იორკთან შედარებით ამ პატარა ქალაქში, ბილეთები ლამის ანდრიასაც ვეღარ ვუშოვე. რეკლამა არ არისო, გაზეთები ცოტას წერენო — შემომჩივლა ჩვენმა ქალბატონმა. არ არის საჭირო რეკლამა, არც განცხადებები — თბილისელები ურეკლამოდაც კარგად მსვდებიან. განსაკუთრებით მაამებს მხურვალე ტაში, რომლითაც თბილისის მაყურებელი გვაჯილდოვებს.

— ჩვენს თანამემამულეებს თუ ხვდებით აქ?

— წინათ ბევრს ვხვდებოდი, ნიუ-იორკში ვიკრიბებოდით ხოლმე. მახსოვს იმ შესვედრებისათვის ჩოხაც კი შევიკერე, ქართულს ვცეკვავდი, ვმღეროდით, ეხლა როგორღაც დავშორდით ერთმანეთს. ალბათ, დროისა და ასაკის ბრალია.

— რომელი ენაა თქვენთვის მშობლიური?

— რუსული. დედა რუსი გვყავდა. სახლში რუსულად ვლაპარაკობდით. მამა ქართულად მაშინ ლაპარაკობდა, როცა ჩამოდიოდნენ ქართველები — ფოცხვერაშვილი, წერეთელი, მიტროპოლიტი გიორგაძე... საქართველოში არ მიცხოვრია, მაგრამ ქართულის დაუფლებას მაინც ვაპირებ... აუცილებლად ვისწავლი! — როგორღაც მოიბოდიშა ქართულის წინაშე გიორგი ბალანჩივაძემ. — პეტერბურგში რომ ჩავდივარ, თავი სახლში მგონია. ყველაფერი ის, რაც დღეს მუზეუმად არის ქცეული, ჩემთვის ყოველდღიური ხელშესახები საგანი იყო. საიმპერატორო ბალეტის სასწავლებელში, რომლის მოწაფეც მე ვიყავი, ბევრი კარგი დღე მახსოვს. მაშინ ჩემთვის ხელშესახები იყო ყველაფერი, რაც კი დღეს სამუზეუმო ქონებად ითვლება, ამიტომაც არის ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასი ლენინგრადი.

— ქართული თუ გამოგყვათ რამ?

— იმერული სიფიცხე და სისწრაფე. პეტერბურგში, ჯერ კიდევ ბავშვობისას, თაგვებს ხელით ვიჭერდი, კატის სისწრაფე მქონდა. თუ შეამჩნიეთ, ჩვენს ცეკვებშიც იგრძნობა იმერული სისწრაფე, სიფიცხე. გარდა ამისა, მიყვარს მწარე და ცხარე საჭმელები. წიწაკასა და ტყლაპს საჭმელში აუცილებლად ვხმარობ. ჩემს ბანში, ნიუ-იორკიდან 48 მილის მოშორებით, ქინძიც კი მაქვს დათესილი, აი, ქართულ ღვინოებს ვერ ვშოულობ.

— აუცილებლად გიშოვით. ქართველი კაცი როგორ აღმოჩნდით უცხოეთში?

ანდრიამ და გიორგიმ ერთმანეთს გადახედეს. მერე ანდრიამ მწარედ ჩაიცინა და ხელი ჩაიქნია. გიორგიმ კი გვიამბო.

— იწურებოდა 1923 წელი. პეტერბურგის მარინის თეატრიდან გასტროლებით წავედი გერმანიაში. იმ ხანებში გერმანიაც დაულაგებელი იყო, ისევე როგორც მთელი ევროპა. ტრანსპორტიც უხეიროდ მუშაობდა, ქალაქიდან ქალაქში გადასვლას ბევრი დრო სჭირდებოდა. დაბრუნების ვადა გადამიცილდა. ერთ მშვენიერ დღეს მივიღე დეპეშა: „დაუყოვნებლივ დაბრუნდით შინ, თორემ თქვენი საქმე ცუდად წავა“. ხელს აწერდა მარინის თეატრის კომენდანტი ნეცეცკი, — თუ სხვა გვარების დასახელებისას გიორგი ყოვნდებოდა, მეხსიერებას ძაბავდა, ამ გვარზე წამითაც არ დაფიქრებულა, ზედმიწევნით კარგად ახსოვდა. — ჰოდა, მეც შევშინდი, რახან ესე მწერს, მაშასადამე ჩემი საქმე უკვე ცუდად არის-მეთქი. შევშინდი და დავრჩი. — დაასრულა ამბავი და ღრმად ამოისუნთქა, თან ანდრიას გადახედა, მწარედ რომ იღიმებოდა.

— რატომ ქვია თქვენს ბალეტს „სიტი-ბალეტი“?...

— სიტი ქალაქია, ჩვენ ქალაქ ნიუ-იორკის ბალეტი ვართ, ე. ი. ქალაქის მეურვეობის ქვეშ ვიმყოფებით, თუმცა ჩვენი არსებობა მარტოოდენ ჩვენს სალაროზეა დამოკიდებული.

— შვილები თუ გყავთ?

— აი ესენი არიან ჩემი შვილები, — მანიშნა მოცეკვავეებზე. — მთელი დასი, უსიტყვოდ, თითის ან თვალის ნიშნებით რომ მიგებენ ყველაფერს. შვილები რომ მყოლოდა, ყოველდღიურად ფულზე უნდა მეფიქრა... მაშინ ბალეტს ვეღარ მოვუვლიდი, ანდრიას აქ ჯამაგირი აქვს, თქვენც. ჩვენ ჩვენით ვცხოვრობთ.

— რა აზრისა ბრძანდებით ქართულ ბალეტზე და კერძოდ ვახტანგ ჭაბუკიანზე, რომელიც დიდად გაფასებთ როგორც თანამედროვეობის შესანიშნავ ქორეოგრაფს?

— ქართულ ბალეტს არ ვიცნობ, საშუალება არ მქონდა გაცნობისა. რაც შეეხება ვახტანგ ჭაბუკიანს, მე მას პირველად ნიუ-იორკში შევხვდი 1935 წელს, თუ არ ვცდები. მსგავსი მოცეკვავე მე არასოდეს არავინ შემხვედრია. მისი ტანი, სიმაღლე, ტექნიკა, პლასტიკა, განსაკუთრებით კი ნახტომი, ნამდვილად შეუდარებელი იყო. იგი სცენაზე ფრინავდა. ბედნიერი ვიქნები, თუ ვახტანგ მიხეილის ძე ქართულ ბალეტს კიდევ გაუზრდის თავის მსგავსს.


მე ვნახე სუხიშვილის ანსამბლი. დიდებული კოლექტივია, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ისინი კიდევ მოიწვიონ ნიუ-იორკში. მინდა ჩემი, თუნდაც იმერული, პატივმოყვარეობა კიდევ ერთხელ დავაკმაყოფილო ნიუ-იორკში მათი ცქერით.

აგრემც! ხშირად გეამაყოთ, ჩვენო თანამემამულეებო, სამშობლოდან წარგზავნილი ყველა მამულიშვილით, გეამაყოთ, შეგყვარებოდეთ და მადლი გცხებოდეთ მიწისა, რომლის მკვიდრნიც თქვენა ხართ ყველგან, სადაც უნდა ცხოვრობდეთ. ჩვენც გვსიამოვნებს, გვეხარია და ვამაყობთ, როცა ჩვენი, საქართველოს შვილნი კეთილ საქმეს იქმიან ქვეყნად, საქართველოს ასახელებენ როგორადაც გიორგი ბალანჩივაძე — მეოცე საუკუნის მსოფლიო ქორეოგრაფიის ჭეშმარიტი დიდოსტატი.

გივი კარბელაშვილი



ბალანჩივაძე და... ბალანჩინი



ნახტომი...





ყველანი ჩემი შვილები არიან... თვალს არასოდეს არ ვაჭლებ, ცეკვის დროსაც კი...





ბალეტის ორი დიდოსტატი — გიორგი და ვახტანგი.

სიონში...



კობა გურულის სახელოსნოში.

ედუარდ გიგილაშვილისა და გივი კიკვაძის ფოტოები

სპორტული ქრონიკა

ოქრო და ვერცხლი

● **დონეცკში** შვიდ დღეს მიმდინარეობდა ჩვენი ქვეყნის პირველობა ჩოგბურთში. ასორმოცდაათი სპორტსმენი იბრძოდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლის მოსაპოვებლად. საბჭოთა კავშირის ორმოცდამეერთე პირველობა ჩოგბურთში „თბილისური“ იყო — ვაუების ერთეულთა ფინალში ოქროს მედლისათვის ერთმანეთს შეხვდნენ ალექსანდრე მეტრეველი და თეიმურაზ კაკულია. მეტრეველმა დაამარცხა თანამემამულე და მეექვსედ მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი. კაკულიამ მკერდი ვერცხლით დაიმშვენა. ვაუთა წყვილშიც უძლიერესები თბილისელები იყვნენ. ალექსანდრე მეტრეველმა და თეიმურაზ კაკულიამ ყველა მეტოქე დაჯაბნეს და გამარჯვებულის უმაღლეს კვარცხლბეკზე ავიდნენ.

ქალთა წყვილებში თბილისელმა ანა ივანოვამ მოსკოველ ევგენია იზოპაიტისთან ერთად ვერცხლის მედალი მოიპოვა.

გამარჯვება, ფრე, დამარცხება...

● **უეფას** თასის გათამაშება ძლიერთა შეჯიბრებაა. თბილისის „დინამოს“ მონაწილეობა ამ საერთაშორისო ასპარეზობაში საპატიო და საინტერესო ფაქტი იყო. სამწუხაროდ, ქართველ ფეხბურთელთა ცდა უიღბლო გამოდგა. „დინამო“ პირველსავე ტურში გამოეთიშა შეჯიბრს. მართალია, „დინამომ“ ჰოლანდიის „ტვენტე“ თბილისში ანგარიშით 8:2 დაამარცხა, მაგრამ ენსხედეში უფერულად იასპარეზა და მეტოქის ორ ბურთს ვერაფრით უპასუხა.

* * *

● **შედარებით** უკეთ ასპარეზობენ თბილისელები ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. ჯერ იყო და ვოროშილოვგრადში გათამაშების ლიდერს „ზარიას“ მოუწყეს მკაცრი გამოცდა. მასპინძლებმა ძლივს მოახერხეს თამაშის ფრედ (2:2) დამთავრება.

პირველ ოქტომბერს კი თბილისელები საკუთარ მოედანზე დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ შეხვდნენ. ასპარეზობა საინტერესოდ წარიმართა. „დინამოს“ პირველ წრეში განცდილი მარცხის რევანში სწყუროდა და ორი ტაიმის განმავლობაში თავგამოდებით უტევდა მეტოქის კარს. დათო ყიფიანმა, გოჩა გავაშელმა და გივი ნოდიამ მეტოქის კარში სამი უპასუხო ბურთი გაიტანეს.

● **შესანიშნავად** იასპარეზეს თბილისელებმა 6 ოქტომბერს ლვოვის „კარპატის“ წინააღმდეგ გამართულ მატჩში. აღსანიშნავია, რომ ეს ორი გუნდი საბჭოთა კავშირის პირველობაზე სამჯერ შეხვდა ერთმანეთს და მატჩი ყოველთვის ფრედ დამთავრდა. ამჯერად კი თბილისელებმა მთელი მონდომებით ითამაშეს და თავიანთი უპირატესობა თვალნათლივ დაამტკიცეს. პირველი გოლი მოწინააღმდეგის კარში გოჩა გავაშელმა მე-17 წუთზე გაიტანა, ამის შემდეგ მურთაზ ხურცილავამ, გივი ნოდიამ, ვლადიმერ გუცაევმა და კვლავ გოჩა გავაშელმა კიდევ ოთხი ბურთი გაიტანეს.

შეხვედრის საბოლოო ანგარიში — 5:1 კარგად გამოხატავს მეტოქეთა ძალების თანაფარდობას.

ნონას გუნდი ჩემპიონია


● **მსოფლიო** საჭადრაკო ოლიმპიადაზე მამაკაცების მხარდამხარ ქალებიც იბრძოდნენ. 28 ქვეყნის ქალთა გუნდი ასპარეზობაში 26 სექტემბერს ჩაება. საბჭოთა გუნდი, რომელსაც სათავეში მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი ედგა, შეუფერხებლად წავიდა წინ და ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა.

მესამე ადგილზე

● **სულ უფრო** პოპულარული ხდება საქართველოში რეგბი. გულშემატკივრები სიამოვნებით უყურებენ ამ ვაჟკაცური სპორტის ერთ-ერთ ლიდერს — თბილისის „ლოკომოტივის“ თამაშს. ეხლა, როდესაც საკავშირო პირველობის გათამაშება დასასრულს უახლოვდება, რეგბის მოყვარულებმა სიამოვნებით შეიტყვეს, რომ ქართველმა რკინიგზელებმა მესამე საპატიო ადგილი და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. საამაყოა ის ფაქტიც, რომ მაისიდან ჩვენი ქვეყნის უმაღლეს ლიგაში საქართველო ორი გუნდით იქნება წარმოდგენილი. პირველ ჯგუფს კიევის „დინამო“ გამოეთხოვა, ხოლო მის ადგილს თბილისის „დინამო“ დაიკავებს.


მასპინძლობს თბილისის ახალი ველოტრეკი

● **თბილისის** ახალი ველოტრეკი ორ დღეს მასპინძლობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული სახალხო არმიისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა ნაკრები გუნდების ამხანაგურ მატჩს. შეხვედრა საბჭოთა სპორტსმენთა გამარჯვებით დამთავრდა. სტუმრებმა და მასპინძლებმა თბილისის ტრეკს მეტად მაღალი შეფასება მისცეს.



სურათზე: თბილისის ახალი ველოტრეკის მაკეტი, რომლის მშენებლობაც მოკლე ხანში დასრულდება.

სპორტული გორელი ფალავანი



სურათზე: შოთა ჩოჩიშვილი — მიუნჰენის თამაშების ოლიმპიური ჩემპიონი.

8 რადიციულ შეკითხვაზე — თქვენი სანუკვარი მიზანი, ჯერეა სპორტსმენი, თუ გულახდილია, უპოჭანოდ პასუხობს: გავხდე ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი! დიახ, მოცურავე თუ მოკრივე, ძალოსანი თუ მძლეოსანი, კალათბურთელი თუ ფრენბურთელი ერთნაირი თავგამოლებით იბრძვის ამ უმაღლესი ტიტულის მოსაპოვებლად და უკომპრომისო ბრძოლაში მთელ თავის შესაძლებლობას აქსოვს. იქნებ ამიტომაც არის, რომ ოლიმპიურ თამაშებზე ესოღენ ხშირად გაისმის ხოლმე ახალ-ახალი სახელები, რომელთა მოულოდნელი, თუმცა კანონზომიერი, გამარჯვება გმირობას უტოლდება...

სპორტსმენი, რომლის შესახებაც გვინდა მოგითხროთ, ოლიმპოს უმაღლეს მწვერვალზე ძალზე ახალგაზრდა ავიდა და დღემდე უჩინომ, უტიტულოთ, ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი. იქნებ ამიტომაც იყო გორელი ჰაბუკის შოთა ჩოჩიშვილის ეს აღმფრენა ბევრმა ძიუდოისტთა ასპარეზობის № 1 სენსაციად რომ მიიჩნია, თანაც ათქმევინა — უმაღლეს კვარცხლბეკზე ღირსეულთა შორის ღირსეული ავიდაო...

ჭარელის რაიონის სოფელ ღვლევის ჩვიდრისთვის ჰიდაობასთან შეხვედრა ისეთივე ჩვეულებრივი ამბავი იყო, როგორც ზღვისპირელისთვის ზღვაში გადაშვება. — შაბათ-კვირა ისე როგორ გავიდოდა, სოფელში ჰიდაობა არ გამართულიყო, — იგონებს ჩვენი რედაქციის სტუმარი, მიუნჰენის XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი შოთა ჩოჩიშვილი და დასძენს, — და მაც მეტი რა მინდოდა, საათობით გაოგნებული ვუცქირდი, როგორ უსინჯავდნენ ერთმანეთს ბრგე ვაჟკაცები მკლავისა და მუხლის ძალას...

12 წლისა ფალავნად მონათლეს და საჭიდაო ჩოხა ჩაიცვა. თანატოლები რომ დაამარცხა, 15-16 წლის ბიჭები გამოუყვანეს. არც მათ დაუდო ტოლი, ისინიც ძირს დასცა შოთას შუაკაცმა. ხმა გავარდა — ქართლში, ჩოჩიშვილების გვარში, ბეჭდაუდებელი ფალავანი იზრდებაო. შოთას ჰიდაობამ გულგრილი არც გამოცდილი გორელი მწვრთნელი გურამ პაპიტაშვილი დასტოვა. ანზორ ქიბროწყაშვილის, როინ მაღალთაძის, გენადი თანდილოვის აღმზრდელმა იგრძნო, რა ბიჭიც იყო დღევანდელი ფალავანი და თავისთან უხმო ექვსი წლის წინათ... შოთა ჩოჩიშვილს მაშინ 16 წელი შეუსრულდა...

—ექვსი წლის მანძილზე არ მახსოვს შემთხვევა, — გვეუბნება გურამ პაპიტაშვილი, — შოთას ვარჯიში გაეცდინოს ან ჩემი ნათქვამისათვის არ დაეჯერებინოს. სიტკვაძუნწ გოლიათს ჯერაც ბავშვის გული აქვს და ეხლაც, უკვე ოლიმპიური ჩემპიონი, ისეთივე ჩუმია, როგორც დღემდე იყო..

ქართულ ჰიდაობაში მკლავგაწაფულმა ძიუდოშიც მოსინჯა ძალა. გამარჯვებას დამარცხების სინანულიც მოჰყვა, მაგრამ შოთა იმ სპორტსმენთა რიცხვს როდი განეკუთვნებოდა, ერთხელ ხელის მოცარვით გული რომ გასტეხოდა. უფრო მეტი მონდომებითა და გატაცებით შეუდგა ძიუდოს საიდუმლოების შესწავლას, რაც ესოდენ ენათესავებოდა ბავშვობიდან შესისხლხორცებულ ქართულ ჰიდაობას. და აი, პირველი წარმატებაც — იგი სხვადასხვა ტურნირებზე ამარცხებს მსოფლიო სახელის მქონე მოჭიდავეებს: იაპონელ ნაკამურას, ფრანგ აღბერტინოს, გერმანელ შტოკს. 1971 წელს კი ნახევარმძიმე წონაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა.

იაპონელებს უყვართ თქმა—ძიუდო ჩვენიაო, მაგრამ დღეს ის ქართულიც არის... ამ ბოლო წლებში გორში 10 საერთაშორისო შეხვედრა გაიმართა და ქართველ ფალავანთა მკლავის ძალა მსოფლიოს ყველა აღიარებულმა მოჭიდავემ იგრძნო... გორელებს დამარცხებული ჰყავთ იაპონელები და ფრანგები, გერმანელები და ინგლისელები. სამასუხო ვიზიტითაც ბევრ ქვეყანას ესტუმრნენ ქართლიდან და თავი არსად შეურცხვენიათ.

მიუნჰენში გამაზვირების წინ, როცა საბჭოთა კავშირის ნაკრები კომპლექტდებოდა, შოთას ბევრი გამოცდილი მეტოქე ეკილებოდა საგზურს, მაგრამ მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი უპირატესობა და ჩვენი ქვეყნის ღირსების დაცვაც ნახევარმძიმე წონაში მას მიენდო. შორ გზაზე მიმავალ ქართველ ფალავანს მწვრთნელიც თან გაჰყვა.

პირველი წრე შოთამ მშვიდობიანად განვლო, უფრო სწორად იგი მხოლოდ ფორმალურად გამოვიდა საჭადაო ხალიჩაზე, რადგან მისი მოწინააღმდეგე არ გამოცხადდა. მეორე წრეში ქართველი ფალავანის წინააღმდეგ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იაპონელი ფუმიო სასაჰარა დადგა. შოთამ იცის, როგორ უნდა იჭიდაოს ამ მრისხანე მეტოქესთან, მაგრამ რა ხდება! სასაჰარა უარს ამბობს აგრესიულ ბრძოლაზე, შეჯიბრების დასაწყისში მოპოვებულ ერთ მომგებიან ქულას თვალის ჩინივით უფრთხილდება და ყრუ დაკვით აპირებს ფონს გასვლას... ჯიდეკ ცოტაც და ჰიდაობა დამთავრდება. დამარცხების საფრთხე ყველაზე აღრე მწვრთნელმა იგრძნო და შოთას ქართულად შესძახა — მიდი, კისრული! თქმა და ქნა ერთი იყო — სასაჰარას ფეხებმა ჰაერში რკალი მოხაზეს და მსოფლიო სახელის მქონე მოჭიდავემ ისეთი ზღართანი მოადინა, იფიქრებდი, ველარ წამოდგებაო. იგრიალა ტაშმა, მეგობრებმა შოთა ხალიჩიდან ხელში აყვანილი გაიტაცეს.


გორელი ფალავნის შემდეგი მეტოქე ინგლისელი დავიდ სჰარბუკი გახლდათ. აქ გამოცდილებამ დასჯაბნა ქართველი მოჭიდავის ახალგაზრდული შემართება და შოთას სანუგეშოდ, „სანუგეშო“ ჯგუფში ჰიდაობა-ღა დარჩა.

აი სად გამოჩნდა, თუ როგორი ჰიდაობა იცოდა გორელმა ბიჭმა! შოთამ ზედიზედ დაამარცხა ფრანგი, ამერიკელი, გერმანელი მოჭიდავეები და ფინალში ინგლისელი სჰარბუკის წინააღმდეგ დადგა. ბევრს ეგონა, ქვლავ ინგლისელი გაიმარჯვებდა, მაგრამ სულ სხვანაირად ფიქრობდა შოთა, — ოლიმპიური ოქროს მედალი ადვილი დასათმობი როდი იყო... და ქართველი მოჭიდავეც პირველსავე წუთებიდან შეტევაზე გადავიდა. ამ ორთაბრძოლას ტელევიზიით თითქმის მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალს და ყველამ კარგად ნახა, რაოდენ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილმა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს შოთას შეკვეთით შეწუხებული ინგლისელი ხსნას ხალიჩიდან გაქცევაში ეძებდა.

აღსრულდა! ძიუდოს ჰიდაობის ისტორიაში პირველად ოლიმპიური ჩემპიონი საბჭოთა მოჭიდავე გახდა. აჟღერდა საბჭოთა კავშირის ჰიმნი, ლაშაზი, ახოვანი ქართველი ჰაბუკი დიდხანს უხდიდა მაღლობას გულშემატკივრებს, რომლებმაც გორელ ჰაბუკს ჩემპიონის საკადრისი ოვაცია გაუმართეს.

მარად ესე გამარჯვებულს გეცვლოს, გორელო ფალავანო!

რევაზ მაჭავარიანი



სურათზე: შოთა ჩოჩიშვილმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა, სასაჰარა ქვეშ მოიქცია.

ჯილდოები ღირსეულთ

მთავრობის უმაღლესი ჯილდოებით აღინიშნა საზაფხულო ოლიმპიური თამაშების გმირთა წარმატება. ლენინის ორდენით დაჯილდოვდა ექვსი ოლიმპიური ჩემპიონი — მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი. შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა ფრენბურთელ ქალთა ნაკრების უფროს მწვრთნელს გივი ახვლედიანს. „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია ვიქტორ სანეევის მწვრთნელი აკოფ კერსელიანი, შოთა ჩოჩიშვილის აღმზრდელი გურამ პაპიტაშვილი, სპორტის დამსახურებული ოსტატები ვალერი კრატასიუკი, ლევან თედიაშვილი, ზურაბ საკანდელიძე, შოთა ჩოჩიშვილი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოვდნენ ქუთაისელი მწვრთნელი ავთრი მატკავა, თბილისელი მწვრთნელი ომარ ქორქია, სპორტის დამსახურებული ოსტატი დიტო შანიძე. მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“ გადაეცათ სპორტის დამსახურებულ ოსტატებს გივი ონაშვილს, ომარ შხაკაძეს, მიხეილ ქორქიასა და მურთაზ ხურცილავას.

დედაენა

საზღვარგარეთულ თანამემამულეთათვის
მედგრილი კალერიან რამიძგილის მიერ
იაკობ გოგებაშვილის „დედაენის" მიხედვით


გაკვეთილი 29



ქამარი
ქა-მა-რი
ქ ა მ ა რ ი
ქ

სა-ქარ-თვე-ლო. ქე-ჩა. მა-ქა-რი. ქუ-თა-ი-სი.

მაქარი ტკბილია. ქინაქინა მწარეა.
ცოტნემ ქამარი იყიდა. ტრაქტორით სწავენ.
თბილისი საქართველოს დედაქალაქია.
ქუთაისში საავტომობილო ქარხანაა.
მიეკარს ქართული ენა. ცაცამ ცილას წერილი მისწერა.
ქარის მოტანილს ქარიყე წაიღებსო.



გაკვეთილი 30


ჯა
ჯ ა
ჯ



ჯი-ქა. სა-ჯო. ჯე-რა-ში. ბი-ჯი.

ჯიქაში ჯის წყალია. ჯრიჯინა ჯრიჯინებს. ჯვრამი გემრიელია. ქუთო საჯდას ჯამს. ჯინჯარი მსუსხავი მცენარეა.

მერცხალმა ბარტყები დააფრინა. ჯიანჯველა ჰატარაა. მაგრამ დიდი ტყვრთი მიაქვს. ბაჯიას სტაფილო უყვარს.



გამოიწერეთ გაზეთი „სამშობლო"!

ავსტრალია

New World Booksellers,
425. Pitt Street,
Sydney, N. S. W.

Spring Bookshop,
7 Collins Street,
Melbourne, Victoria

Peoples Bookshop,
205 Brunswick Street, Valley,
Brisbane, Queensland

ავსტრია

13 – 10
Globus, Vaz
Hoechstaedtpl. 3
A-1200 Wien, Osterreich

ალჟირი

SNED 3, Bd. Zirout Youcef
Alger

აშშ

Stechert-Hafner, Inc.,
31 East 10th Street,
New York 3, N. Y.

Schoenhof's Slavic Books, Inc.,
1280 Massachusetts Avenue,
Cambridge 38, Mass.

ახალი ზელანდია

Progressive Books,
14 – 16 Darby Str.,
Auckland C. I.

ბელგია

Librairie
Du Monde Entier
Place St. Jean, 5
Bruxelles

ბრაზილია

Livraria «Intunliv»
Rua Senador Dantas 117,
Sobre Loja 206,
Rio de Janeiro

Livraria «Stjepan Rozov»
Rua 24 de Maio, 35,
Sala 1213
São Paulo

დასავლეთ გერმანია

Kawe
Kommissionsbuchhandlung
I Berlin 12 (Charlottenburg)
Hardenbergplatz 13

დასავლეთ გერმანია

Brücken-Verlag GmbH
Ackerstraße 3 (Worringerplatz)
4 Düsseldorf I

W. E. Saarbach GmbH
Ausland-Zeitungshandel
5 Köln I
Postfach 1510

Presse-Vertriebs-Gesellschaft mbH
Börsenstraße 13 – 15
6 Frankfurt am Main

ეგვიპტე

Modern Age Establishment
Dar-El-Shark Bookshop,
8, Talaat Harb Str.,
Cairo

ინგლისი

Central Books Ltd.,
37 Grays Inn Road,
London W. C. I

Collet's Holdings Ltd.,
Denington Estate,
Wellingborough, Northants

ინდოეთი

People's Publishing
House (Private) Ltd.,
Rani Jhansi Rd.,
New Delhi-1

ზოგიერთი მისამართი, სადაც ვეძებთ გამოიწეროთ ჩვენი გაზეთი

ირანი

Bookstore Sako Hovsepian 48,
Avenue Marshal Stalin,
Teheran

«Gutemberg»
Khiabane Manuchehri,
Teheran

იტალია

Associazione
Italia – URSS
Via Edilio Raggio, 1 – 6
16124 Genova

Associazione
Italia – URSS
Sezione di Milano
Via Dogana, 4
Milano

So. Co. Lib. Ri.
Piazza Margana, 33
00186 Roma

კანადა

Periodica, Inc.,
7045 Avenue du Parc
Montreal 15, Que.

კუბა

Distribuidora Nacional de Publicaciones
Neptuno, 674, Apartado 1356
Habana, Cuba

ნორვეგია

Tanum-Cammermeyer
(Subscription-Centre)
Karl Johansgt, 43
Oslo I

პაკისტანი

Standard Publishers, Ltd.,
3/10, Liaquat Avenue,
Dacca-1

საბერძნეთი

«Themelio»
57 Akademias,
T. T. 143,
Athens

საფრანგეთი

Librairie du Globe
2, rue de Buci
75 – Paris 6e

Les Livres Etrangers
10, Rue Armand Moisant
75 – Paris 15e

სირია

Alep
General Press Company
Nizam Bros Kayyali
29 Ayyak Street
P. O. Box 2366
Damas

ურუგვაი

«Anteo Ltda»
18 de Julio 1333
Montevideo

შვეიცარია

Genossenschaft
Literaturvertrieb
46, Feldstraße
8004 Zürich

Naville et Cie
5 – 7, rue Lèvrier
Genève

ჩილე

Empresa Editoria «Austral» Ltda.
Casilla 13201, San Francisco 36
Santiago de Chile

ჰოლანდია

«Pegasus» Boekhandel,
Leidsestraat 25
Amsterdam

ცხადდება ხელმოწერა 1973 წლისათვის გაზეთ „სამშობლოზე!"

ABONNEZ VOUS AU JOURNAL «SAMCHOBLO» POUR 1973!

ABONNIERT DIE ZEITUNG «SAMSCHOBLO» FÜR DAS JAHR 1973!

SUBSCRIBE FOR THE NEWSPAPER «SAMSHOBLO» FOR 1973!

რედაქტორი გივი კარბელაშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს" რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონებში: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.

არ დაივიწყოთ, ისწავლეთ ქართული ანბანი!

ისწავლეთ ლაპარაკი, წერა და კითხვა ქართულად!